




ხაშურის მთაშუა



№27 (58)

18 ივლისი, ორშაბათი, 2016 წელი

ლიტვის ელჩი - ხაშურში

აიპ. სამოქალაქო ჩართულობის განვითარების ცენტრი „თანამონაწილე“ 2015 წლის სექტემბრიდან დღემდე ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს პროექტს „დამოუკიდებელი ქალი“.

პროექტი დაფინანსებულია ლიტვის რესპუბლიკის მთავრობის მიერ „თანამშრომლობისა და განვითარების“ პროგრამის ფარგლებში.



პროექტის მიზანია, ახალი უნარ-ჩვევების სწავლების გზით გაიზარდოს სოციალურად დაუცველი ქალების დასაქმების ანდა თვითდასაქმების შესაძლებლობა.

პროექტის მიმდინარეობისა და მიღწეული შედეგების შეფასების მიზნით, მუნიციპალიტეტის გამგეობას ეწვია ლიტვის რესპუბლიკის ელჩი გიედრიუს პუოჯუნასი.

შეხვედრას ესწრებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასაშვილი.

ლიტვის ელჩმა დადებითად შეაფასა პროექტით გათვალისწინებული მიზნები და მიღწეული შედეგები. მეორე ნაკადის ბენეფიციარებს გადაეცათ სერტიფიკატები.

პროექტის ფარგლებში დაკომპლექტდა მესამე, დამამთავრებელი ჯგუფი, რომელიც ნოემბრის ბოლოს დაასრულებს სასწავლო პროგრამას.

მიკრო გრანტები მთის განვითარებისათვის

მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობას ბიზნესის წამოწყებისა და განვითარების უნიკალური შესაძლებლობა ეძლევა. 29 ივლისამდე სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მთის მაცხოვრებლებს შეუძლიათ წარადგინონ საკუთარი ბიზნეს იდეები ვებგვერდზე www.qartuli.ge და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დახმარებით წამოიწყონ საკუთარი საქმე მთაში.

„მიკრო გრანტები მთის განვითარებისათვის“ არის ახალი პროექტი, რომელიც მეწარმეობის განვითარების სააგენტომ შემუშავა მთის განვითარების ეროვნულ საბჭოსთან თანამშრომლობით. პროექტი საშუალებას აძლევს



მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობას სახელმწიფოს მხრიდან მიიღოს 5 000-დან 15 000 ლარამდე თანადაფინანსება და საკუთარ მაცხოვრებელ ადგილზე წამოიწყოს ბიზნესი, რაც ზოგადად მთის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.

ახალი პროგრამის შემუშავება პასუხობს მოსახლეობის მხრიდან დიდ მოთხოვნას, რაც მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში დაფიქსირდა. სწორედ ამ პროგრამის შედეგების, ეფექტურობისა და მოსახლეობის მხრიდან დაინტერესების გათვალისწინებით, პროგრამის განმახორციელებელი უწყება, მეწარმეობის განვითარების სააგენტო, მთის განვითარების ეროვნულ საბჭოსთან ერთად მაღალმთიანი რეგიონში დაიწყო მიკრო გრანტების გაცემას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მთიდან მიგრაციას და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგადად მთის განვითარების ეროვნული საბჭოს ამოცანას მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიების შემუშავება წარმოადგენს. გრანტების გაცემის ახალი ეტაპი კი სწორედ, რომ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების მიზნით შემუშავებული პროექტია და მთაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ასევე რეგიონებში სამეწარმეო საქმიანობის წახალისებისკენაა მიმართული.

აღმოსავლეთის ტბა - მთაში მოსაუბრე პასაჟი სამოთხე

დიდიხანია ვგეგმავდით მეგობრულ თუ სამსახურეობრივ სტუმრობას კოდიწყაროს ტბაზე. ძალიან ლამაზიაო, ამბობდნენ. იმ მთის ძირშია, ბავშვობიდან ჩემს ინტერესს რომ იწვევს, ვერ გამეგო, რატომ ერქვა ღორინამკალი, ან იქ ასე ვერ გოგორ შეიძლებაო. ყველა გმირი მეგონა, ვინც იტყოდა, რომ ნამყოფი იყო. მოკლედ, შედეგა ჩვენი ტურისტული მარშრუტი საკუთარი რაიონის ყველაზე



საოცარ ადგილას-ჩვენი მასპინძელი და კოდიწყაროს ტბის მეპატრონე სულიკო ლომიძე, მანქანიდან გვაცნობდა ტყეში ჩაკარგული სოფლების სახელებს და ისტორიას. ყველაფერი სასწაულქმნილი გვაქვს ქართველებს, აბა, სხვა რა ძალამ დაასახლა აქ ადამიანი და სამოთხე მოუწყო ქვეყანაზე, აქ, ალბათ, სიკვდილსაც აგვიანდება მოსვლა. შორი გზა აირჩია ჩვენმა მასპინძელმა მისასვლელად, რადგან გაიგო, რომ პირველად ვიყავით. თვითონ, კოდიწყაროში დაბადებულს თითოეული ქვა ეახლოვდება, თითოეული ხე მისი დარგული თუარა, მის თვალწინ გაზრდილია, ყველას იცნობს, ყველასთვის მხოლოდ საუკეთესო ემეტება. მოვედითო და... ფილტვები მთიდან წამოსული კაცშეუხებელი ჰაერით გაიფსო-თვალი და გონება პირველად შეთანხმდნენ რაღაცის განუმეორებლობაზე. არაამქვეყნიურზე-მთაში ჩაკარგული კოდიწყაროს ტბა-ფერები ზოლებად და კონტრასტულად მიუყვებოდა მთის ზოლს და ტბასაც, წყაროს წყლებით ნაკვებ ტბასაც, ამ ხეობის ფერი ადევს. გველოდნენ, სამწვადე ცეცხლი ენთო, ქარვისფერი ღვინოც გულს იგრილებდა წყაროს წყლით, ფუსფუსებდნენ... ტბაში ჩაკიდული მოლოდინადქცეული ანკესები, "კობრის", საზანის" "გამოჭერას" რომ ცდილობდნენ, მწკრივად ჩალაგებულიყვნენ ტბის ნაპირას. მათ პატრონებს, ზოგს სპორტული უინი და ზოგსაც თევზის სიყვარული აერთიანებდათ. ცოტა მოშორებით, მე-18 საუკუნეში ნაგები პატარა ეკლესიაა, წმინდა გიორგის სახელობის, რესტავრაციის პროცესშია. აქედან მიუყვება ბილიკი ღორინამკალის მთამდე.

ბატონ სულიკოს თავისი ხელი დაუტყვია ყველაფრისთვის, მონდომებუ-ლი და მშრომელი კაცის მარჯვენას ბევრის კეთება შეუძლია ქვეყნისთვისაც და ოჯახისთვისაც. 71 წლისაა და ახალგაზრდული უინით გვემავს ტბის და ხეობის პოტენციალის გაზრდას, ტურისტული მნიშვნელობის მინიჭებას. ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად, მაგრამ მაინც მივა საწადელ მიზანთან, შვილიშვილებთან ერთად, რომლებიც გვერდით უდგანან პაპას. სანამ ქვაბში მოთუხთუხე ხორცი მომზადდებოდა და მწვადებიც გვერდებს დაიფიცებდნენ, ტბაზე ვისაუბრეთ, რა იყო და სამომავლოდ რა სახე უნდა რომ მისცეს.


- ბატონო სულიკო, როგორ მოხვდა თქვენს საკუთრებაში ტბა?
- კოდიწყაროში დავიბადე, აქ ყველაფერი ახლობელია ჩემთვის. ეს ტბა ომამ

(დასასრული II გვერდზე)

(დასასრული)

დღეც იყო, შემდეგ დაშრა. მასსოვს, ამ ადგილზე სიმინდი ითესებოდა. 1953-1954 წლებში მამანემი იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე, თევზი მოიყვანა და გაუშვა. კობრი იყო. საბჭოთა კავშირი დაიშალა, ყველა სისტემა მოიშალა, ვეღარ მივხედეთ, ტბამ შრობა დაიწყო. გამინდა სურვილი მიმეხედა. იჯარით ავიღე ტბა, გააკეთე წყალი, კალაპოტი გაგვერი, გავასუფთავე და 1990 წელს გაგუშვი 3,5 ტ. თევზი "სქელშუბლა". გურიიდან მოიყვანე. 25 კგ-მდე გაიზარდა.

ხოლისნყახოს ტბა - მთაბში მოქსაიცი ჰახახა სამოთხა



თუ ვინმეს უჭირდა, ვაძლევდი, რთული პერიოდი იყო, არასდროს გამიყვია. 2006 წელს ოჯახს რთული პერიოდი ჰქონდა, ვეღარ მივაქციე ტბას ყურადღება. 7 ტ. თევზი დამეხოცა 25 კგ-იანები.

- თავიდანვე ამხელა ფართობზე იყო? სიღრმე რამხელა აქვს?

-თავიდან არ ყოფილა ამხელა, როცა ჩემ საკუთრებაში გადმოვიდა, გავაფართოვე, კალაპოტი გავწმინდეთ. დღეს 7 ჰა-ზეა და საშუალო სიღრმე 15 მეტრს აღწევს ზოგან. წყაროს წყლები შემოდის და ის ავსებს წყლის დონეს ტბაში. თან თევზიც უფრო გემრიელია, რადგან წყალი იფილტრება და არ ბინძურდება

სხვა წყლებით.

-რა სახეობის თევზი გყავთ ტბაში?

-2006 წლის შემდეგ, როდესაც სერიოზულად მოვიკიდე ხელი ამ საქმეს, ყოველწელს შემომყავს კახეთიდან "კობრის", "თეთრი ამურის" და "სახანის" ლიფსიტები, ტბის ჯიშებია, ადვილად ვკუეზა და ზომითაც კარგი მოცულობის იზრდება. საფურაჟე ხორბლით ვკვებავთ.

- ამჟამად სად ცხოვრობთ, ყოველდღე

ამოდიხართ?

-საშურში ვცხოვრობ, ყოველდღე ვერ ამოვდივარ, ჩემი შვილიშვილები თითქმის ყოველდღე აქ არიან, ყურადღებას აქცევენ ტბას და დაინტერესებულები არიან მისი განვითარებით. სახლი მაქვს სოფელ კოდიწყაროში, სადაც დავიბადე, ვენახი მაქვს, ღვინოს ვაყენებ. სხვა კულტურებსაც ვთესავ, არ ვკარგავ ჩემს სოფელს, სახლს.



- როგორც ვიცი, სერიოზულად აპირებთ ტბის და ამ პოტენციალის გამოყენებას.

-ჩინელები იყვნენ მოსული, სასტუმროს და გზის აშენება შემომთავაზეს უარი ვუთხარი. ახლა შეგქმენი "სოფელ კოდისწყაროს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანა-რეალიზაციის კოოპერატივი", ოჯახთან ერთად ვაპირებ ეტაპობრივად გავაკეთო და განვავითარო აგროტურიზმი. ეს მხარე დავტოვე საკურორტო ზონად. აქ წარმოდგენილი იქნება ტურისტული მომსახურების სრული სერვისი, ცხენებით მომსახურება, კოტეჯებში დასვენება. შეუძლიათ გაისეირნონ ცხენებით, ითევზაონ, თევზი დააგემოვნონ, ინადირონ.

- ნადირობა ასხენეთ, ეს პოტენციალიც აქვს ამ მხარეს?

-გარემოს დაცვის სამინისტროში მაქვს განაცხადი შეტანილი, სამონადირო ლიცენზიის გადმოცემის თაობაზე. შევლი, კურდღელი, გარეული ღორი, ირემი ბინადრობს. უარი არ უთქვამთ, დროა საჭირო. თავისი მოთხოვნებიც აქვთ, უნდა ჩამოაყალიბო, როგორ განავითარებ ინფრასტრუქტურულად, მაგალითად: როგორი ბილიკები უნდა შევიდეს ღორინამკალზე, რა წარწერები უნდა გაკეთდეს ნიშნულზე, აუცილებელი პირობაა კოტეჯების გაკეთება, ტურისტებისთვის დამისგასათევად, რეინჯერები და ა. შ. ვფიქრობ, საინტერესო სერვისს შევთავაზებთ ტურისტებს სამომავლოდ.

- სოფლის აღორძინების იდეაც გაქვთ. ცდილობთ ხალხი დაუბრუნოთ სოფელს...

-გარდა ამისა, მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოებით 13ა-ზე, მინდა გავაკეთო სამოსახლო. ძალიან ბევრს აქვს სურვილი ამ ადგილას სახლის ქონის. შევთავაზებ ელენერჯის აყვანას, სახლების აშენებას. დაახლოებით 20-25 ოჯახის დასახლება შესაძლებელი.

გვინდა, რომ ხელი მოემართოს ბატონ სულიკოს, გვინდა რომ მისი იდეები და ჩანაფიქრი სრულიად განხორციელდეს, რადგან აღორძინებული და წელში გამართული სოფელი, დახვეწილი და ულამაზესი ადგილები, რომელიც უამრავ ტურისტს მიიზიდავს, ქვეყნის ძლიერებაცაა.

თ. ჯავახიშვილი

ბრენინგები ჰელაგოგებისათვის

11 ივლისს, ხაშურის №1 საჯარო სკოლაში, დაიწყო ბრენინგები მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრებისათვის. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბრენინგებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრი ახორციელებს.

მიხეილ ნიორაძე, ბრენერი: „აღნიშნული ბრენინგები ხაშურში უკვე მეორე კვირაა რაც მიმდინარეობს. ბრენინგის მიზანია ჯგუფებმა გაიაზრონ მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსის გამოყენების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში და გაეცნონ იმ რესურსის ტიპებს, რომლებიც შეფასდება სქემის ფარგლებში, ასევე გაეცნონ მასწავლებლის პროფესიული საქადალდის სტრუქტურას, იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალს, რომელიც უნდა იყოს ასახული მასწავლებლის პორტფოლიოში სქემით გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი აქტივობების დასადასტურებლად, გაეცნონ მასწავლებლის პროფესიული საქადალდის შეფასების წესს, პროცედურებსა და შეფასების კრიტერიუმებს, პრაქტიკულად გამოიყენონ სასწავლო რესურსის შეფასების რუბრიკა. ბრენინგ-მოდულების წარმატებით გავლა იქნება წინაპირობა, რომ შეფასების ჯგუფის თითოეული წევრი შეიძენს მასწავლებლის პროფესიული საქადალდის ობიექტურად შეფასების შესაბამის კომპეტენციას და შეძლებს მასწავლებლის პროფესიული საქადალდის წარმატებით შეფასებას.“



მაღალმთიან დასახლებათა ნუსხას ჩვენი მუნიციპალიტეტის კიდევ 8 სოფელი დაემატა

მკითხველისთვის ცნობილია, რომ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 1582 დასახლებას მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა, დასახლებულთა ნუსხა, მთის განვითარების ეროვნული საბჭოს წარდგინებით, საქართველოს მთავრობამ უკვე დამტკიცა. ამ ნუსხაში ჩვენი მუნიციპალიტეტის 25 სოფელიც შევიდა. ახლახანს ცნობილი გახდა, რომ ამ სიას კიდევ რვა სოფელი დაემატა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის, გამგებლის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსს ივანე ლოლაძეს ვთხოვეთ: – „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის № 671 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვით ამ ნუსხას დაემატა კიდევ 8 სოფელი, ესენია: უწლევი, დანძილები, ნარუჯები, ღუდა, ჯვართმუხა, კოდიწყარო, ჩორჩანა და წელვერი. რა თქმა უნდა, ეს სოფლებიც იგივე შეღავათებით ისარგებლებს, ისევე როგორც დანარჩენი 25 სოფელი, – აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში.

მკითხველს მოესხენება, რომ ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მაღალმთიან რეგიონებზე, რომლებიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მთლიანად შეესაბამება მაღალმთიანი რეგიონის მცნებას ანუ, კანონის თანახმად, მაღალმთიან დასახლებად ითვლება ის დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, თუმცა სახელმწიფომ მხედველობაში მიიღო გარკვეული ფაქტორები – მთის ფარდობის დახრილობა, კლიმატური პირობები და სხვა, და შესაბამისად ნუსხაში შეიყვანა ისეთი სოფლებიც, რომლებიც ზღვის დონიდან 800 მეტრზე მდებარეობს.

კანონი ძალიან მნიშვნელოვანია, გამომდინარე იქიდან, რომ ხელს შეუწყობს ნახევრად დაცლილი სოფლებისა და თემების აღორძინებას, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული აქტივობების გაძლიერებას, თვითმყოფადი ლანდშაპებისა და ეკოსისტემების შენარჩუნებას, მათ დაცვას მავნე ზემოქმედებისაგან.



მასსოვს, რომელიმე დღესასწაულზე, სამსახურში მისულს, ქარვისფერი ღვინო დამხვდა-საჩუქარიო, მითხრეს. ვერაფრით გამახსენეს ამ დიდებული ღვინის მაღლიანი დამყენებელი-ასეთ გემოსა და თვისებებს რომ უქმნიდა "ღვთიურ სითხეს", რომლის გარეშეც ჭირი არ ჭირობს და ღვინისაც არაქვს ელფერი. ბატონი პაატა (თავისი მოკრძალებული ბუნებიდან გამომდინარე, ალბათ, "ბატონობით" მიმართვასაც იუხერხულებს) დიდი ხანია ჩვენს რედაქციას სტუმრობს, მოგვესალმება, ახალ გაზეთებს

საუკეთესო გემონური თვისებებით გამოირჩევა, სპეციალისტები აღიარებენ, რომ 80% გორული მწვანისა და 20% ჩინურის ერთად შერევის შედეგად,

მეღვინე, რომლის სახელი რაიონის გარეთაც იცინა

საუცხოო ღვინო გამოდის. ამას ეძახიან ატენურს –რა ჯიშები გაქვთ? დაახლოებით რა რაოდენობის ღვინოს აყენებთ ყოველწლიურად?



მოიკითხავს და მშვიდად ბრუნდება უკან. ეს არისო, მანიშნეს-არ დამზარებია, არც აღფრთოვანება დამიმალავს, შევეუქე და მოვუწონე საჩუქარი. დავინტერესდი, ვის ჰქონდა მისი ღვინის დეგუსტაციის შესაძლებლობა და რამდენად სერიოზულად იყო დაკავებული ღვინის დაყენებით. კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა, მომიყვია საიდან დაიწყო, რა რაოდენობის ღვინოს აყენებს, როგორი ტექნოლოგიებით. არც ფესტივალებზე სტუმრობა ყოფილა უცხო მისთვის. ეს არაა განსაკუთრებული მასშტაბის მეღვინე, თუმცა, საუცხოო ღვინოს აყენებს და ერთნაირად ხიბლავს გლეხსაც, საჯარო მოხელესაც და დიპლომატებსაც.

–ოდიტგანვე ჩვენი ოჯახი მევენახეობას მისდევდა. იმ რთულ პერიოდში, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა, უამრავი ვაზი გაიჩხა ბეკამში. ბეკმის ფერდობიც განთქმულია, მზის ფერდია და აქ მოყვანილი ყურძენი კარგი შაქრიანობით ხასიათდება, რაც საუკეთესოა კარგი ღვინის დასაყენებლად. ჩვენ ვაზი არ გაგვიჩხავს, დავამუშავეთ და მოვუარეთ. დიდი ფართობი არ გვაქვს, მთლიანობაში ალბათ, 40 მეასედი. ძალიან შრომატევადი საქმეა, სულ უნდა იტრიალო და მოუარო. წელს ვენახს ცოტა მივამატე, 50 ძირამდე ჩავეყარე ჩინებული და გორული მწვანე. ჩვენს რაიონში ამ ჯიშების ღვინო,

–ძირითადად „გორული მწვანე“, „ჩინური“, „თავკვერი“ და „ძელშავი“ მაქვს. ყველაზე მეტი მოსავალი რამდენიმე წლის წინ მივიღე, სუფთა წვენი ჩავასხი 3,500 ტონა. „თავკვერი“ და „ძელშავი“ ღვინის ფესტივალზე მქონდა გატანილი, ძალიან მოწონა საფრანგეთის ელჩს.

–საბაზრო ფასი თუ შეესაბამება თქვენი ღვინის ფასს?

–რა ღირებულებაც აქვს, იმ ფასში ვერ ვყიდით. 4 ლარზე ნაკლებად არ შეიძლება გაყიდო, მაგრამ 2-3 ლარადაც ვყიდო, როცა მოდიან. ხალხს მეტის შემოთავაზება არ შეუძლიათ, თორემ ხაშურში ყველამ იცის პაატა ლალუაშვილის ღვინო.

–როგორც ვიცი, ღვინის ფესტივალების საპატიო და აქტიური სტუმარი ხართ...

–2012 წელს მივიღე მონაწილეობა ღვინის ფესტივალში, რომელიც ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩატარდა. იქ მქონდა წაღებული „გორული მწვანე“ და „ჩინური“. ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა, ერთ-ერთ ყველაზე მუავე ღვინოდ აღიარეს. ბუკლეტებიც დაიბეჭდა, სადაც ჩემი მონაცემებიც იყო შესული. რამდენიმე ხნის წინ ბატონმა ჯემალ გელაშვილმა დამირეკა და ფესტივალში მონაწილეობა შემომთავაზა. ჩამოვასხი ღვინო, ვიყიდე "ხაშურის ცოცხალი",

ყველი, ლავაში და გავაკეთე ჩემი სტენდი. დიდი მოწონება დაიმსახურა ჩემმა ღვინომ. პოლონეთის ელჩმაც გასინჯა და აღნიშნა, რომ იქ წარმოდგენილი ღვინოებიდან, ყველაზე საუკეთესო ჩემი ღვინო იყო.

–ეს არ გაძლევთ სტიმულს, უფრო სერიოზულად დაკავდეთ მეღვინეობით?

–როგორც ვითხარით, ძალიან შრომატევადი საქმეა, სულ ჩართულობას მოითხოვს. ადრე გაზაფხულიდან იწყება და თითქმის მთელი წელი რაღაცაა საკეთებელი. ჩემთვის დროის ფაქტორი უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე ფინანსური. ღვინოს გადაღება უნდა, ჭაჭას არაყად ვხდი, კონიაკს ვაყენებ. ერთ წელს 200 ლიტრი არაყი გამოვხადე. ეს ყველაფერი დიდ დროსა და ენერჯიას მოითხოვს. ჩვენთან ხილია, რომლისგანაც ასევე არაყს ვხდი.

–რა ტექნოლოგიით აყენებთ ღვინოს, სად ინახავთ?

–საწნახელში ვწურავ. არ ვაყოლებ ჭაჭას, ვეროპული დაყენება ჰქვია, დასალევადაც უფრო სასიამოვნოა. მქონდა ხის კასრები, სადაც ვინახავდი ღვინოს, მაგრამ ქარდებოდა და იკლებდა. ქვევრში დაყენება ძალიან რთულია, რეცხვა უნდა, დიდ დროს მოითხოვს. ბევრს არც მოწონს ქვევრის ღვინო. მე პლასტმასის კასრებს ვიყენებ. არც გემონური თვისებები ეკარგება და ძალიან მოსახერხებელიცაა.

–ის, რისი გაკეთებაც მომავლის პერსპექტივად გესახებათ?

–შიდა ქართლში ანდრო ბარნოვმა შექმნა ცენტრი სადაც გაწვევრიანებული ვართ შიდა ქართლის მეღვინეები. ინფორმაციას ვიღებთ, ვცვლით, ვსწავლობთ. სამომავლოდ, შესაძლებელია უცხოელებიც დაინტერესდნენ და ერთობლივად ჩამოისხას ღვინო. ასეთ შემთხვევაში, უფრო სერიოზულად ვიფიქრებ წარმოების გაფართოებაზე.

თ. ჯავახიშვილი



როგორც ცნობილია, მწვერვალზე ასვლა იმდენად რთული არ არის, როგორც იქ დარჩენა... ქართველი საოპერო მომღერალი გია გაგნიძე წლების წინ ხოსე კარერასის ფავორიტი გახდა, შემდეგ ლორინ მახულის, შემდეგ კი იყო მსოფლიოს უდიდესი საოპერო სცენები და დღესაც ყველაზე გამორჩეული თეატრის "მეტროპოლიტენ ოპერას" სასურველ ბარიტონად რჩება... ბუნებრივია, მომღერალი მეტად დაკავებულია, მაგრამ საბედნიეროდ, შემთხვევა მოგვეცა, საქართველოში რამდენიმე დღით ჩამოსულ მის მეუღლეს, მაია გოგოლაძეს დავკავშირებოდით. მკითხველისთვის ალბათ ცნობილია, რომ ქალბატონი მაია ხაშ-

გია გაგნიძის ბაიბიონი მსოფლიოს იპიხობს



ურელია. მის დედას ქალბატონ ნანული ღამბაშიძეს, სამუსიკო სკოლის ცნობილ პედაგოგს, მთელი ქალაქი კარგად იცნობდა. ბატონ გიას კი არაერთხელ დაუტკბია ხაშურელი მსმენელი თავისი მაღალი ხელოვნებით.

- ქალბატონო მაია, სად არის ამჟერად მსოფლიოს აღიარებული ბარიტონი გია გაგნიძე?

- ახლახან მადრიდში ჰქონდა სპექტაკლი, შემდეგ მიდის იტალიაში, ქალაქ ვერონაში, სადაც „არენა დი ვერონას“ სცენაზე უდიდესი ფესტივალი ტარდება. ეს საზაფხულო ფესტივალია და ერთი თვის განმავლობაში გრძელდება. ამდენად, გიორგი ვერონაში 25 აგვისტომდე დარჩება, სადაც „ტრაფიატას“ და „ნაბუქოს“ იმღერებს და შვიდჯერ მოუწევს გამოსვლა. იტალიის შემდეგ ისევ ესპანეთში წავა, ბილბაოს თეატრში. მერე ვენის „შტადსოპერაში“ აქვს რამდენიმე სპექტაკლი... დეკემბრიდან თებერვლის ბოლომდე კი „მეტროპოლიტენ ოპერაში“ ექნება სხვადასხვა სპექტაკლი...

- როგორც ვიცი, "მეტროპოლიტენ ოპერაში" უკვე რამდენიმე წელია, იწვევენ...

- ექვსი წელია, რაც გიორგი მსოფლიოს წამყვან საოპერო თეატრებში მღერის - „ლა სკალა“, „მეტროპოლიტენ ოპერა“, პარიზის „ბასტილის ოპერა“, ლოს-ანჯელესის ოპერის თეატრი, ტოკიოს საოპერო თეატრი... აქვს წარმატებული პრემიერები და „მეტროპოლიტენ ოპერაში“ სეზონის გახსნაც მოუხდა 2009 წელს. „მეტროპოლიტენ ოპერაში“ სეზონის გახსნა, მოგეხსენებათ, დიდი პატივია, მით უმეტეს, როდესაც სპექტაკლ „ტოსკას“ დირიჟორობდა ძალიან ცნობილი დირიჟორი, ჯიმი ლივანი. მეტად წარმატებული პრემიერა იყო და პირდაპირი ეთერის მეშვეობით ტელევიზიით 46 ქვეყანაში გადაიცა. ასევე, ნიუ-იორკში, მანჰეტენზე იყო დამონტაჟებული უზარმაზარი ეკრანი... სეზონის გახსნიდან ათი სპექტაკლი გავიდა. სპექტაკლში მღეროდა, მსოფლიოში აღიარებული ტენორი მარჩელო ალვარესი. პრესაში სპექტაკლს ძალიან დიდი გამოსმაურება მოჰყვა. გიორგის შესახებ დაიწერა „ნიუ-იორკ თაიმსში“ და ევროპის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში... სეზონის გახსნამდე გიორგიმ „მეტროპოლიტენ ოპერაში“ „რიგოლეტო“ იმღერა და იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ იმის შემდეგ ყოველ წელს სამ სხვადასხვა სპექტაკლში მაინც უწევს გამოსვლა. დეკემბრიდან მიიღებს მონაწილეობას სპექტაკლებში: „ხოვანშჩინა“, „ტოსკა“, „ნაბუქო“... იშვიათად ხდება, რომ „მეტროპოლიტენ ოპერა“ ასე ხშირად იწვევდეს საოპერო მომღერალს, რადგან ძალიან კონკურენტული ქვეყანაა, იქ დამკვიდრება და მაყურებლის სიმბათის მოპოვება, ურთულესია. მასმედიის საშუალებით ხდება ყოველი სპექტაკლის ძალიან რეალურად შეფასება, რასაც დიდ ყურადღებას აქცევს „მეტროპოლიტენ ოპერის“ ხელმძღვანელობა - მათთვის გადაამწყვეტია, როგორი კრიტიკა აქვს მომღერალს.

- როგორი კრიტიკა ჰქონდა ბატონ გიორგი გაგნიძეს?

- „ნიუ-იორკ თაიმსის“ პირველ გვერდზე, ლამის ერთი თვის განმავლობაში, გიორგის ფოტოები იბეჭდებოდა. საქართველოს პრეზიდენტი და ელჩი ნიუ-იორკში ბრძანდებოდნენ, შემთხვევით გაზეთში ნახეს სტატია და ფოტოები და ასე გაიგეს გიორგის შესახებ.

- „ლა სკალას“ საოპერო თეატრში როდის იმღერა?

- გიორგის „ლა სკალაში“ კიდევ უფრო ადრე ჰქონდა გამოსვლა - სპექტაკლ

„ტრაფიატაში“ ჟერმონის პარტია შეასრულა... მომავალ წელს „რიგოლეტოს“ რვაჯერ იმღერებს... „ლა სკალას“ ძალიან მგრძობიარე მაყურებელი ჰყავს და ყოველთვის ინარჩუნებს თავის ძველ სახელს... „მეტროპოლიტენ ოპერა“ და „ლა სკალა“ დღეს მომღერლის კარიერას განსაზღვრავს.

- როგორ გახდა გიორგი გაგნიძე მსოფლიოს უდიდესი დირიჟორის ლორინ მახულის ფავორიტი?

- გიორგიმ 2005 წელს „ვერდის ხმების“ კონკურსში გაიმარჯვა. კონკურსის ჟიურის წევრი გახლდათ ხოსე კარერასი. გამარჯვებულისთვის პრიზი იყო „ტოსკას“ და „ტრაფიატას“ გასტროლები ტოკიოში, რასაც ლორინ მახუელი ხელმძღვანელობდა. ამ გასტროლებზე გაიცნო ლორინ მახუელი გიორგი. გიორგი ხოსე კარერასის ფავორიტი იყო და, რა თქმა უნდა, დადებითად წარადგინა მახულის წინაშე. მახუელს გიორგი თავიდანვე ძალიან მოეწონა და განაცხადა: დღეს ძალიან ძნელია, ასეთი მომღერალი იპოვო და, სამწუხაროდ, ისეც ხდება, რომ ზოგჯერ, შეიძლება, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერც გაიცნო... ამის შემდეგ, მახუელი, თუ სადმე სერიოზულ პროდუქციას უშვებს, ყველგან გიორგის იწვევს. ტოკიოს შემდეგ „ნიუ-იორკ ფილარმონიკაში“ მიიწვია, სადაც საკონცერტო შესრულებით „ტოსკა“ გავიდა. გიორგის გამოსვლას იმდენად დიდი გამოსმაურება და რეკლამა მოჰყვა, რომ ამის შემდეგ შეამჩნია „მეტროპოლიტენ ოპერის“ ხელმძღვანელობამაც და მიიწვია... ლორინ მახუელი ვალენსიის საოპერო თეატრის ხელმძღვანელი იყო და სპექტაკლებში, სადაც კი ბარიტონის მთავარი პარტიაა, ყველგან გიორგი მღეროდა. 2007 წელსაც, როდესაც „ლა სკალაში“ გიორგის დებიუტი შედგა, სპექტაკლს მაშინაც ლორინ მახუელი დირიჟორობდა.

- საქართველოში როდის იმღერა ბოლოს გიორგიმ?

- გიორგის საქართველო ძალიან ენატრება და დიდი სურვილი აქვს, წარდგეს ქართველი მსმენელის წინაშე, თუმცა, დროის დეფიციტი აქვს. აქ შვიდი წლის განმავლობაში არ ჰქონდა ნამღერი და საქართველოს პრეზიდენტის მოწვევით 2010 წლის ბათუმში, საახალწლო კონცერტში მიიღო მონაწილეობა - იქ ერთი არია შეასრულა. ძალიან უნდა, სპექტაკლში იმღეროს და, როგორც კი საშუალება მიეცემა, აუცილებლად ჩამოვა.

- გაგვაცანით მისი მოღვაწეობა საქართველოდან წასვლამდე...

- გიორგი 23 წლიდან, 7 წლის განმავლობაში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის საოპერო თეატრის ერთ-ერთი წამყვანი სოლისტი იყო. ძალიან ბევრი როლი საქართველოში ისწავლა. აქ იმღერა ვერდის „ტრაფიატა“, ბიზეს „კარმენი“, ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“... რა თქმა უნდა, ქართული ოპერებიც - „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“... იმ წლებში თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბატონი ჯანსუღ კახიძე იყო. გიორგის ქართული გამოცდილება ევროპის სცენებზე ძალიან გამოადგა.

- მერე, ალბათ, იყო საერთაშორისო კონკურსები... საქართველოს შემდეგ რომელი ქვეყანა აირჩია სამოღვაწეოდ?

- ელენე ობრაზცოვას სახელობის საერთაშორისო კონკურსზე სანკტ-პეტერბურგში მეორე ადგილი აიღო. ევროპიდან ჩამოსულ პროდიუსერებს, ძალიან მოეწონათ და არაერთი შემოთავაზება ჰქონდა... შემდეგ გერმანიაში ერთ-ერთ კონკურსში, გაიმარჯვა და გერმანიის ნაციონალურმა თეატრმა ხელშეკრულება დაუდო. თავიდან ორი წლის განმავლობაში გერმანიის სხ-



ვადასხვა საოპერო თეატრში მღეროდა, შემდეგ სხვა ქვეყნებშიც მიიწვიეს.

- მსოფლიოს სხვადასხვა სცენაზე ქართველებთან ერთად თუ მოუხდა გამოსვლა?

- დიახ, ნინო მანაიძესთან ერთად იმღერა იტალიაში, ქალაქ პარმაში - „პარმის“ ფესტივალზე. ეს ფესტივალი ყოველ სექტემბერში იმართება და შარშან ნინო მანაიძესთან ერთად ჰქონდა რამდენიმე სპექტაკლი. ძალიან

(დასასრული)

წარმატებით გამოვიდნენ. მათზე გაზეთებში განსაკუთრებულად იწერებოდა და ეს, რა თქმა უნდა, ძალიან საამაყო იყო ჩვენთვის. იქ მასმედია ყოველთვის დიდი ყურადღებითაა: მომდერალი თუ კარგად იმდერებს, აღნიშნავენ, თუ არა და, მკაცრი კრიტიკა იციან. იტალიაში ოპერა ძალიან აქტიურად გასაშუქებელი თემაა.

- სად ცხოვრობს დღეს ბატონი გიორგი მუდმივად?
- მუდმივად უკვე აღარსად, ყოველთვის ხან სად არის, ხან - სად. სამი წელია, რაც ძალიან აქტიური საგასტროლო ტურნე აქვს. ასევე აქვს დაგეგმილი კიდევ 4-5 წელი, ჩვენი, მისი ოჯახი, ისევ ვრჩებით გერმანიაში, იმ პატარა ქ-

გია გაგნიძის ბახიკონი მსოფლიოს იპყიობს

ლაქში, სადაც თავიდან დავმკვიდრდით - ესაა გოეთესა და შილერის ქალაქი, ვაიმარი. აქ სულ მუხუშუმებია და ტურისტულად ცნობილი ქალაქია. გიორგის გარეშე ყოფნა ძალიან გვიჭირს. ორი შვილი მყავს და თითქმის მარტო მიწვევს მათი გაზრდა.

- თქვენ რა პროფესიის ბრძანდებით? გაგვაცანით თქვენი შვილებიც...
- პროფესიით ექიმი ვარ, მაგრამ, მუშაობას ვერ ვახერხებ, ბავშვებს მოვლა უნდათ. მარიამი უკვე წარმატებული გოგონაა. გერმანიაში საბავშვო ორკესტრში უკრავს ფლეიტაზე, ასევე, ფორტეპიანოზე და მღერის. ძალიან აქტიურად ვართ მუსიკალურ სამყაროში ჩართული.

- ქართველები ცხოვრობენ ამ ქალაქში?
- არც ერთი ქართველი არ ცხოვრობს, ჩვენი მეგობრებიც იქაურები არიან. გერმანიაში გიორგის პროფესიას ნებისმიერი განათლებისა და დონის ადამიანი დიდ პატივს სცემს და ეს ძალიან დაგვეხმარა. თუმცა, მაინც რთულია უცხო ქვეყანაში თავის დამკვიდრება. თან, თავიდან ენა არ ვიცოდით. ახლა უკვე რადაცნაირად შეგვჩვევით ამ ქვეყანას, ბავშვებმაც ენა ისწავლეს, სკოლაში დადიან და ჯერჯერობით იქ ვრჩებით. თავიდან მუშუბნობდნენ ახალი ჩამოსული ხარ და ნოსტალგია გაგივლისო, მაგრამ, რვა წელი გავიდა და არ გამიარა. ყოველთვის ერთი სული მაქვს, აქეთ როდის წამოვალთ. ბავშვებსაც ძალიან უყვართ საქართველო. ძირითადად, ზაფხულობით ჩამოვდივართ.

- ახერხებთ, მეუღლის სპექტაკლებსა და პრემიერებს დაესწროთ?
- ძალიან ვცდილობ... თუ ევროპაში მღერის, ბავშვებთან ერთად მივდივარ. ასე ვიყავით წელს ვენასა და პარიზში - პარიზის „ბასტილია ოპერაში“ კქონდა პრემიერა რობერტო ალანიასთან ერთად... თვითონ დასვენებას სულ

ვერ ახერხებ. ძალიან რთული წლები აქვს, ყოველგვარი დასვენების გარეშე გადადის ქალაქიდან ქალაქში.

- ახლო მომავალში საქართველოში ვერ ვიხილავთ სცენაზე?
- თბილისის ოპერის დირექტორი, დავით საყვარელიძე დაგვიკავშირდა და



გვითხრა, რომ ბათუმში იგეგმება „რიგოლეტო“ საკონცერტო შესრულებით. გიორგი აღიარებულია, როგორც მსოფლიოს პირველი რიგოლეტო, რიგოლეტოს როლზე ყველა თეატრის სასურველი ბარიტონია. „რიგოლეტო“ ბარიტონისთვის ყველაზე რთულია და თუ მას მომდერალი კარგად მღერის, ეს ნიშნავს, რომ ძალიან კარგი ბარიტონია.

კ. ჟღენტი



წრომში წყლის რეზერვუარი შემოიღობა

დასრულებულია სოფელ წრომში წყლის არსებული რეზერვუარის შემოღობვის სამუშაოები. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფინანსებული ეს ღონისძიება, ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ აღარ მოხდება რეზერვუარის დაბინძურება და სოფელი სუფთა წყლით ისარგებლებს.



მიმდინარეობს სურამის სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით, კულტურული საკმარისობის ხელშეწყობის მიზნით, დაბა სურამში სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს. აღნიშნული ობიექტი ათწლეულების განმავლობაში არ გარემონტებულა და მისი რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის გამგეობამ პრიორიტეტად მიიჩნია. სამუშაოები, რომლის ღირებულება 72 126 ლარს შეადგენს, 2016 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის დასრულდება.

თუ მთაში საქმის დაწყება გსურთ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით, დღეს, 8 ივლისს, მეწარმეობის განვითარების სააგენტომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის პროგრამის „მიკრო გრანტები მთის განვითარებისთვის“ პრეზენტაცია გამართა. სააგენტოს წარმომადგენლის ირინე გიორგიძის თქმით „მიკრო გრანტები მთის განვითარებისათვის“ არის ახალი პროექტი, რომელიც მეწარმეობის განვითარების სააგენტომ შეიმუშავა მთის განვითარების ეროვნულ საბჭოსთან თანამშრომლობით. პროექტი საშუალებას იძლევა მაღალმთიან სოფლებში ბიზნესის განვითარებისთვის მოსახლეობამ სახელმწიფოს მხრიდან მიიღოს 5 000-დან 15 000 ლარამდე თანადაფინანსება და საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე წამოიწყოს ბიზნესი, რაც ზოგადად მთის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს. შეხვედრაზე, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ესწრებოდა, სააგენტოს წარმომადგენელმა ყურადღება პროგრამის მნიშვნელობასა და სარგებლიანობაზე გაამახვილა და მოუწოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს მონაწილეობა მიიღონ 27 ივნისიდან

29 ივლისის ჩათვლით სახელმწიფო პროგრამა- „წარმოე საქართველოში“. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წარადგინონ საკუთარი ბიზნეს იდეები ვებგვერდზე www.qartuli.ge და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დახმარებით წამოიწყონ საკუთარი საქმე მთაში.



თორნიკე კვინიკაძის ვერცხდი მსოფლიო ჩემპიონატიდან

თავისუფალ ჭიდაობაში მეორე წელია ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი სკოლის მოსწავლეებს შორის. წელს ჩემპიონატს თურქეთის ქალაქმა ტრაპიზონმა



უმასპინძლა. მასში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. საქართველოს ღირსებას, სხვებთან ერთად, ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი თორნიკე კვინიკაძე იცავდა. თორნიკეს არაერთხელ გაუხარებიათ თავისი გამარჯვებებით და არც ამჯერად შეირცხვინა თავი. პირველ წრეში მან ინდოელი სპორტსმენი გაისტუმრა სახლში; მეორე წრეში ფრანგი დატოვა უშანსოდ, ფინალში გასვლისთვის კი ირანელ მოჭიდავეს მოუგო დამაჯერებელი ანგარიშით. ფინალში მისი მეტოქე თურქი სპორტსმენი იყო, რომელსაც, სხვათა შორის, თორნიკემ გასულ წელს 10:0 მოუგო. სამწუხაროდ, ფინალის წინ თორნიკეს ტრამვა გაუმიზეზდა და სამედიცინო შტაბმა მას ფინალში ჭიდაობის უფლება არ დართო. თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატიდან წამოღებული ვერცხლის მედალიც უდავოდ დიდი წარმატებაა და ეულოცავთ თორნიკეს ამ მიღწევას.

“ფრესკა” საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებულია



წინა კვირას, ქობულეთში, გაიმართა ხელოვნების მე-13 საერთაშორისო ფესტივალი „ნარინჯისფერი ქობულეთი“, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის (სომხეთი, რუსეთი, ლატვია, ლიტვა, ისრაელი, კვიპროსი, თურქეთი და სხვა) ფოლკლორულ ჯგუფებთან ერთად ხაშურის მუნიციპალიტეტის არსებული ცეკვის ანსამბლი „ფრესკა“ იღებდა მონაწილეობას. შესანიშნავი ხელოვნების ელიტის რატიანის ხელმძღვანელობით „ფრესკა“ ოთხი ნომრით წარსდგა მაყურებლისა და ჟიურის წინაშე. „ბრწყინვალე“, „შესანიშნავი“, „ულამაზესი“ – ასეთი იყო ჟიურისა და დამსწრეთა საერთო შეფასება. პირველი ადგილი მართლაც ღირსეულად მოიპოვეს ჩვენმა ბავშვებმა და ფესტივალის გამარჯვებულის სახელით დაბრუნდნენ ხაშურში. ეულოცავთ ქალბატონ ელიკოს, ანსამბლის თითოეულ წევრს ამ წარმატებას და გვჯერა, ისინი მომავალშიც ბევრჯერ ასახელებენ ჩვენს მუნიციპალიტეტს.

ხაშურის თოჯინების თეატრი - ქობულეთში

8 ივლისს ხაშურის თოჯინების თეატრი, ზღვისპირა ქალაქ ქობულეთში



ხელოვნების მე-13 საერთაშორისო ფესტივალ „ნარინჯისფერი ქობულეთი“-ზე გაემგზავრა. ფესტივალში მონაწილეობენ, როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში მოღვაწე თეატრალური კოლექტივები. 12 ივლისს ხაშურის თოჯინების თეატრის კოლექტივი თეატრალურ-მუსიკალური წამოღებებით მიესალმა როგორც პუბლიკას ასევე სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულ თეატრალურ კოლექტივებს, რამაც დიდი ოვაციის და აპლოდისმენტების ქვეშ ჩაიარა. ორივე დღის შემდეგ, ხაშურის თოჯინების თეატრი ფესტივალის ეგიდით ქობულეთის № 3 საბავშვო ბაღს ესტუმრა და პატარებს შარლ პეროს პიესა „წითელქუდა“ უჩვენა. ბავშვებზე ზღაპარმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და სპექტაკლმა უჩვეულოდ დადებითი ემოციის და მხიარული შეძახილების ფონზე ჩაიარა.



საინტერესო საღამო

ახლა ხანს, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის II კორპუსის დიდ დარბაზში, გაიმართა დიდმიტრი ყიფიანის შთამომავლის თამარ მიქაძის მიერ დ. ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გადმოცემული ალბომის პრეზენტაცია. ეს მეორე ალბომია ქალბატონ თამარის მიერ გამოცემული, სადაც უნიკალური მასალებია თავმოყრილი. დიდმიტრი ყიფიანის და მათი შთამომავლების წერილები ფრანგულ და რუსულ ენებზე, რომელიც თარგმნილია ქართულად ასევე მიმოწერები, ფოტოები და სხვა დოკუმენტური მასალები. ალბომი საინტერესოა არამარტო დ. ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევართათვის, არამედ ნებისმიერი ქართველი მკითხველისთვის, ვინც დაინტერესებულია თავის საშობლო ისტორიით. საღამო მიჰყავდა მთარგმნელსა და მკვლევარს მაია ცერცვაძეს. საღამო გახსნა სურამისა და ხაშურის ეპარქიის მეუფე სვიმეონმა. სიტყვებით გამოვიდნენ დეკანოზი მალხაზ ყიფიანი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, პოეტი, გენო კალანდაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის დირექტორი ელდერ ნადირაძე, ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის დირექტორი ილო მამარდაშვილი, პოეტ-მთარგმნელი გივი შახნაზირი, ხელოვნებათმცოდნე პროფესორი ნინო ლაღანიძე. საღამო შეაჯამა ალბომის რედაქტორმა მწერალმა როსტომ ჩხეიძემ. გივი გელაშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.